

25.05.11

საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს უცვლელად 8%-ზე ტოვებს

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2011 წლის 25 მაისს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 8 პროცენტს შეადგენს.

2011 წლის აპრილში წლიურმა ინფლაციამ 13.5 პროცენტი შეადგინა. სურსათის გაძვირების წილი წლიურ ინფლაციაში 11.8%-ია. საბაზო ინფლაციის მაჩვენებელს - ინფლაციას სურსათისა და ენერგომატარებლების გარეშე, ბოლო თვეების განმავლობაში შემცირების ტენდენცია აქვს და აპრილში 2%-ზე ნაკლებია. კვლავ დაბალია მომსახურების სექტორის ინფლაცია და 1.3%-ს შეადგენს. ინფლაციის საბაზო მაჩვენებლისა და მომსახურების სექტორის დაბალი ინფლაცია მოთხოვნის მხრიდან ფასებზე ზეწოლის სისუსტეზე მიუთითებს.

არსებული პროგნოზებით წლიური ინფლაციის შემცირების ტენდენცია კვლავ გაგრძელდება და წლის ბოლოსათვის 8%-ის ფარგლებში იქნება.

საკრედიტო აქტივობის არსებული ტემპები შესაბამისობაშია ეკონომიკის მოსალოდნელ ზრდასთან. მოთხოვნის მხრიდან ფასებზე შესაძლო ზეწოლის რისკი კვლავ დაბალია.

ბოლო თვეების განმავლობაში საერთაშორისო ბაზრებზე ფასებს კლების ტენდენცია აქვს. კერძოდ, შემცირდა ნავთობისა და შაქრის მსოფლიო ფასი. მოსალოდნელია ამ ფაქტორის ასახვა საქართველოს სამომხმარებლო ბაზარზეც.

სესხების ზრდის და ეკონომიკური აქტივობის არსებული და მოსალოდნელი დინამიკის საფუძველზე, საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების კლების არსებული ტენდენციის გათვალისწინებით, ინფლაციის საპროგნოზო მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში მცირდება მიზნობრივ დონემდე. შესაბამისად მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო პოლიტიკის განაკვეთის უცვლელად დატოვების გადაწყვეტილება.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2011 წლის 22 ივნისს გაიმართება.